ნინო ბიგვავა •

პოლიტიკური პარტიები ოკუპირებულ აფხაზეთში

აბსტრაქტი

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად რთული პროცესები განვითარდა. მათ შორის იყო კონფლიქტი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლის შედეგადაც საქართველოს ეს კუთხე დღემდე ოკუპირებულია. სტატიაში სხვადასხვა ხელმისაწვდომ ბეჭდურ წყაროზე დაყრდნობით აღწერილია არსებული პოლიტიკური სურათი აფხაზეთში, თუ როგორი პოლიტიკური სისტემაა დღეისათვის, როგორ ხდება პოლიტიკური პარტიების დაარსება, ვინ უდგას მათ სათავეში და როგორი ორინეტაციის არიან ისინი. აღნიშნული პროცესების დანახვა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რა განწყობებია მოსახლეობაში და რას ფიქრობენ მეცნიერ-მკვლევარნი მოცემული ვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პოლიტიკური პარტიები, კონფლიქტი აფხაზეთში, დაფინანსება.

შესავალი

1990-იანი წლების შემდგომ საქართველოში არსებული სეპარატისტული კონფლიქტების შემდგომ პერიოდში, აფხაზეთში ჩამოყალიბდა დე-ფაქტო ხელისუფლება. მისი კვლევა განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის წარმოსაჩენად, თუ რა ტიპის ძალები ქმნიან ოკუპურებულ აფხაზეთში არსებულ დღის წესრიგს, რა საშინაო თუ საგარეო ძალები ახდენენ გავლენას აფხაზეთის მცხვორებლებზე. საკითხის ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ კონკრეტული დასკვნები და დავადგინოთ, რა

• პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

გზებითაა შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება. მოცემული საკითხის კვლევის წარმოებისთვის მოხდა მონაცემების მოძიება სხვადასხვა აფხაზურ დე-ფაქტო სამთავრობო უწყებების ელექტრონული პლატფორმებიდან და ადგილობრივი მასმედიის საშუალებებიდან. აღნიშნული მიმართულება იძლევა შესაძლებლობას, უშუალოდ ადგილობრივი პირველწყაროდან იქნეს მოწოდებული ინფორმაციები.

დღეისათვის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელოსუფლება დაყოფილია სამ სახელისუფლებო დანაყოფად:

1. საკანონმდებლო შტო - ეროვნული ყრილობა - იგივე პარლამენტი, რომელიც 35 დეპუტატისგან შედგება და აირჩევა 5 წლით.

2. აღმასრულებელი ხელისუფლება - მისი თავმჯდომარე არის დე-ფაქტო პრეზიდენტი, რომელიც ე.წ. სახელმწიფოს თავმჯდომარეს წარმოადგენს. მისი მოადგილეა ვიცე-პრეზიდენტი. აღმასრულებელ ხელისუფლებას ასევე განაგებს მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პრეზიდენტის მიერ ყალიბდება და მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანოა.

3. სასამართლო ხელოსუფლება, რომლის სათავეშიც უზენაესი სასამართლოა. სასამართლოზე კონტროლს ახორციელებს აფხაზეთის გენერალური პროკურორი (Министерство Иностранных дел Республики Абхазия, 2023).

აფხაზეთის „პარლამენტმა“ 2009 წელს მიიღოთ კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ (Издательство «Спутник», 2022).

დღევანდელი ეროვნულ ყრილობა, იგივე პარლამენტი, 2022 წლის არჩევნების შემდგომ, 35 დეპუტატისგან შედგება, მათგან 30 უპარტიო დამოუკიდებელი სტატუსით იყო შესული აფხაზეთის პარლამენტში, 4 დეპუტატი მანდატს პარტია „ამცახარა“-ს, ხოლო 1 „აიტაირა“-ს საშუალებით ფლობს.

„პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონის შესაბამისად, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება სცნობს პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვნებას და პარტიულ პლურალიზმს. აქედან

გამომდინარე ე.წ. მთავრობა იძლევა გარანტიას პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის. პოლიტიკური პარტია თავისი გაგებით განსაზღვრულია როგორც: „პოლიტიკური პარტია - საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შექმნილია აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეების პოლიტიკური ნების უზრუნველსაყოფად, სოციალურ და პოლიტიკურ აქციებში, არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის მისაღებად, მოქალაქეების ინტერესების წარმოსადგენად სახელისუფლებო მართვით ორგანოებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში“ (Закон Республики Абхазия, О политических партиях, 2009).

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის მიღების შემდგომ, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური გაერთიანებების გაკონტროლება და მათი აღრიცხვა. აფხაზეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ დღის წესრიგში ვხვდებით 14 პოლიტიკურ პარტიას (Издательство «Спутник», 2021).

თავად აფხაზი პოლიტოლოგებიც აღნიშნულ მდგომარეობას ნეგატიურად უყურებენ. ნათელა აკაბა თვლის, რომ ზედმეტად ბევრი პოლიტიკური პარტიაა ასეთი მცირე ტერიტორიისთვის, რაც. მისი აზრით. მოწმობს პერმანენტულ პოლიტიკურ კრიზისზე.

„საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთში ყველა პარტიას აქვს ერთნაირი იდეა და ისინი ძირითადად მუშაობენ აფხაზეთის სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებაზე, ძირითადი განსხვავება მათ შორის არის ის რომ ნაწილი არის სახელისუფლებო და ოპოზიციური, მესამე კი ცენტრისტული“ (Издательство «Спутник», 2021).

არსებული პოლიტიკური პარტიები

აფხაზეთის პოლიტიკური პარტიების კვლევის პროცესში, მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე ძირეული ასპექტი, რომლის გარშემოც ხდება მათი შედარება წარმოშობის, ძირითადი პოლიტიკური ვექტორისა და იდეების მიხედვით. ერთ-ერთი ყველაზე

საგულისხმო ფაქტი ისაა, რომ არსებული აღრიცხვების მიხედვით რეგისტრირებულია დაახლოებით 400 საზოგადოებრივი გაერთიანება (Издательство «Спутник», 2022), რაც ერთობ მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების ფორმირების პროცესზე დაკვირვებისათვის, ვინაიდან აფხაზეთში ძირითადად სწორედ საზოგადოებრივ-სამოქალქო გაერთიანებები იღებენ პოლიტიკური პარტიების სახეს და ამის არაერთი დასტური არსებობს. აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მრავალი მათგანი იქმნებოდა იმისთვის, რათა კონკრეტული იდეოლოგიური ვექტორი წარმოეჩინათ.

აფხაზეთში პირველი პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ჩნდებიან. მთავარი, რამაც უზრუნველყო ამ პროცესის დაძვრა გახლავთ ის, რომ კონფლიქტის პერიოდში ჩამოყალიბებულმა გაერთიანებებმა, ომის შემდგომ გადაწყვიტეს პოლიტიკურ ასპარესზე უფრო მეტად გამოსვლა და სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი მათი ამგვარად გააქტიურებისა. ამ დროს ჩამოყალიბებული პარტიებიდან რამდენიმე დღემდე შენარჩუნებულია და ფუნქციონირებს, თუმცა არ არის აქტიური პოლიტიკურ ასპარესზე. ყველაზე ძველი პარტიებია: „აფხაზეთის კომუნისტური პარტია“; „აფხაზეთის ეროვნული პარტია“ და „ამცახარა“ (ქართ. მშობლიური ცეცხლი).

1993 წლის ოქტომბრის ბოლოს დაარსდა **„აფხაზეთის კომუნისტური პარტია“.** სხვადასხვა პერიოდებში მას ხელმძღვანელობდნენ ოლეგ დამენია, ენვერ კაპბა და ლევ შამბა (Коммунистическая Энциклопедия, 2020). ამ ეტაპზე მას სათავეში უდგას ბაკურ ბებია (Издательство «Спутник», 2021). აფხაზეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს კომუნისტური პარტიების კავშირის წევრს - რომელიც თავის მხრივ საბჭოთა კავშრის კომუნიტური პარტიების კავშირია (СКП- КПСС) (Коммунистическая Энциклопедия, 2020). მისი ძირითადი შტაბი მდებარეობს სოხუმში. პარტიის შემადგენლობა 5000 ადამიანს აღემატება. მისი გაცხადებული მიზანია აფხაზეთის სუვერენიტეტის შენარჩუნება, შერეული ეკონომიკის განვითარება და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა (Издательство

«Спутник», 2022); ამყარებს კავშირებს ისეთ გაერთიანებებთან და პარტიებთან, როგორებიცაა „ამცახარა“; „ერთიანი აფხაზეთი“ (რუს.: Единая Абхазия); „აფხაზეთის განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის ეროვნული ფრონტი“ (Народный фронт Абхазии за развитие и социальную справедливость). აფხაზეთის კომუნისტურ პარტიას უფრო მეტად უჭირავს სამთავრობო პოზიციები (Издательство «Спутник», 2021).

ერთ-ერთი ყველაზე ძველი გაერთიანება დღეისათვის გახლავთ **„აფხაზეთის ეროვნული პარტია“** (რუს.: Народная партия Абхазии), რომელიც 1991 წელს შეიქმნა. აღნიშნულმა პარტიამ პოპულარულობა მოიპოვა იმით, რომ 1999 წელს შეეცადა ალტერნატიულ საფუძველზე ჩაეტარებინა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები (Народная партия Абхазии, 2022). 2003 წელს, პარტიამ ხელი მოაწერა „სოლიდარობის დეკლარაციას“ რუსეთის ეროვნულ პარტიასთან ერთად, 2007 წელს კი კავშირში შევიდა აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიასთან. 2021 წელს აფხაზეთის ეროვნულმა პარტიამ „აიდგილარას“ ორგანიზაციის საზოგადოებაში განხეთქილების აღმოფხვრის ინიციატივას მხარი დაუჭირა (Издательство «Спутник», 2021). დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული პარტია არ არის იმდენად აქტიური. ეროვნული პარტიის სათაო ოფისი მდებარეობს სოხუმში, შემადგენლობაში ათას ადამიანზე მეტია. გაცხადებულ მიზნებში გაწერილია ე.წ. სუვერენიტეტის შენარჩუნება და ხალხის ინტერესების დაცვა. როგორც უკვე ითქვა, კავშირი გააჩნია „რუსეთის ეროვნულ პარტიასთან“ და ხასიათდება ცენტრისტული მიმართულებით (Издательство «Спутник», 2021).

ერთ-ერთი ძველი პოლიტიკური გაერთიანება გახლავთ **„ამცახარა“** (მშობლიური ცეცხლი), რომელიც 1999 წელს შეიქმნა (Партия Амцахара, 2013). თავდაპირველად ეს იყო ორგანიზაცია, რომელიც იცავდა იმ ვეტერანების უფლებებს, რომელნიც დარჩნენ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დახმარების გარეშე და მათზე არ გავრცელდა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა.

თუმცა, ვეტერანების მსგავსი სახის გაერთიანება ნელ-ნელა აფხაზეთის პოლიტიკურ დღის წესრიგშიც შემოვიდა. 2013 წელს „ამცახარა“-ს პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნა მოხდა. დღეისათვის პოზიციონირებს როგორც პოლიტიკური პარტია, რომელიც იცავს „აფხაზეთის ინტერესებს“ (Партия Амцахара, 2013). „ამცახარა“ მთავრობის ერთ-ერთი მხარდამჭერი პარტიაა, რომელიც „აიტაირა“-ს და „ერთიან აფხაზეთთან“ კავშირშია გაერთიანებული. ამცახარას შტაბი სოხუმშია, პარტიის შემადგენლობაში 3000-ზე მეტი ადამიანი ირიცხება (Издательство «Спутник», 2021). პარტიის მიზნებს წარმოადგენს ვეტერანების უფლებების და აფხაზეთის ინტერესების დაცვა (Партия Амцахара, 2013).

„ამცახარას“ საპირისპიროდ 2007 წელს შეიქმნა ვეტერანთა ორგანიზაცია **„არუაა“** (Издательство Кавказский Узел, 2007). ორგანიზაციის დამფუძნებელ ყრილობაზე მისმა წევრებმა მწუხარებით განაცხადეს, რომ ომის შემდგომ შექმნილი ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ამცახარა“ იქცა პოლიტიკურ ორგანიზაციად (Издательство Апспыпресс, 2010). თუმცა უნდა ითქვას, რომ გარკვეული პერიოდის შემდგომ, „არუაა“-საზოგადოებრივი გაერთიანებაც პოლიტიკურ დღის წესრიგში მეტად ჩაება. დღეისათვის, ორგანიზაცია საკუთარ მიზნებად ასახელებს „დემოკრატიული იდეების გავრცელებას და სოციალური სამართლიანობის ჩამოყალიბებას, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ვეტერანთა აქტივობისა და ინიციატივების უფრო მეტად განვითარებასა და მხარდაჭერას, ამავდროულად საზოგადოებაში მეტი ღირსეული აქტივობის ინიცირებას“ (Издательство Апспыпресс, 2010). „არუაა“-ს იდეებს იზიარებს შედარებით ახალგაზრდა პარტია „აფსნი“ და შედარებით უფრო გამოცდილი პარტია „ეროვნული ერთიანობის ფორუმი“ (Форум народного единства) (Издательство Кавказский Узел, 2007). ორივე პარტიის ძირითადი თეზისი არის პირველი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას იდეის განვითარება, აფხაზეთის სახელმწიფოებრივობის შენარჩუნების შესახებ (Издательство «Спутник», 2021).

პოლიტიკური პარტია **„აფსნი“,** როგორც უკვე ითქვა, შედარებით ახალგაზრდაა. ის შეიქმნა 2016 წელს. პარტიის მთავარი შტაბი გააჩნია ქალაქ სოხუმში. რომელშიც გაერთაიანებულია ათას ადამიანაზე მეტი. „აფსნი“-ს ძირითადი მიზანია, ერთიანობა და სოლიდარობა სახელმწიფოში. კავშირები აქვს „ФНЕА» (форум народного единства), „Аруаа“; ‘АНД“, პარტია მკვეთრად ოპოზიციურია (Издательство «Спутник», 2021).

„აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი“, შეიქმნა 2005 წელს, მასში ირიცხება 1300 ადამიანი, როგორც უკვე ითქვა, მთავარ მიზანს წარმოადგენს „ვლადისლავ არძინბას გზის გაგრძელება აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად და განსავითარებლად“. კავშირები აქვს „არუაასთან“, „აფსნისთან“ და „აფხაზეთის ეროვნულ მოძრაობასთან“. „აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმის ძირითადი მიმართულება ოპოზიციურია (Издательство Абхазия-Информ, 2018). უნდა თქვას, რომ პარტიის თავმჯდომარე ასლან ბარციციც მკვეთრად და პირდაპირ აფიქსირებს თავის პოზიციებს: „ქვეყნის ხელმძღვანელობა ამჟამინდელიც და მომავალიც უნდა ხვდებოდეს აფხაზურ საქმიანობას, უნდა ინარჩუნებდეს და ამრავლებდეს ჩვენს სახელმწიფოებრიობას. მთავარი მიზანი დღეისათვის ეს არის ყველანაირი ძალის კონცენტრირება, იქნება ეს ინტელექტუალური თუ პოლიტიკური იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ხალხი და შევინარჩუნოთ ქვეყანა. ჩვენ გვყავს ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი - რუსეთი. ალტერნატიული გზა ჩვენ არ გაგვაჩნია“ (Издательство «Спутник», 2021).

სუვერენიტეტის შენარჩუნება და განვითარებაზე მსგავსი პოზიციები გააჩნია ასევე პარტიას **„აინარ“-ს.** თუმცა როგორც მისი წარმომადგენელი ადგურ ლაგვილავა აცხადებს „აინარ“-ი ყველანაირი ხელისუფლების შემთხვევაში იქნება ეს ოპოზიცია, თუ პოზიცია ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს. პარტია „აინარ“ 2015 წელს სამოქალაქო გაერთიანებიდან გარდაიქმნა, პოლიტიკურ პარტიად. მისი მთავარი შტაბი სოხუმშია (Издательство Апспыпресс, 2015). პარტიის შემადგენლობაში 1200 ადამიანია. მიზანს წარმოადგენს სუ-

ვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. სხვა პარტიებისგან განსხვავებით, არ გააჩნია მოკავშირეები და უჭირავს ცენტრისტული პოზიცია (Издательство «Спутник», 2021).

ანალოგიურ იდეებს ატარებს ყველაზე ახალგაზრდა პარტია **„აიტაირა“** (აფხ. აღორძინება), რომელიც 2006 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა 2020 წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა პარტიად და მხარს უჭერდა პრეზიდენტობის კანდიდატს ასლან ბჟანიას და დღეისათვის პრო-სამთავრობო პარტიებთან არის კავშრიში. ესენია: „ამცახარა“ და „ერთიანი აფხაზეთი“ (Издательство «Эхо Кавказа», 2021). პარტიის შემდგენლობაში 1200 ადამიანია და მთავარ გაცხადებულ მიზანს წარმაოდგენს ქვეყანაში ეროვნული შეთანხმების მიღწევა (Издательство «Спутник», 2021). იდეოლოგიურად უფრო მეტად ცენტრისტულია, რუსოფილური და ანტიატლანტიზმის იდეებს ატარებს. პარტიის თავმჯდომარეა ლეონიდ ლაკერბაია, რომელიც აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა 2011-2014 წლებში (Издательство «Спутник», 2021).

ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებული პოლიტიკურ გაერთიანება, რომელიც აფხაზეთში გვხვდება არის **აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტია.** მისი მთავარი აქცენტი სწორედ ეკონომიკურ განვითარებაზე დგას. პარტიის თავმჯდომარემ, თეა არშბამ განაცხადა, რომ „პარტია მხარს უჭერს აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების მეტად სწრაფ ტემპს, რათა ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანდეს სწორედ ამის გარშემო და პროცესი დაჩქარდეს. „ჩვენ ცენტრისტების პარტია ვართ და ასეთებად ვრჩებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ რესურსების გაერთიანებას სახელმწიფოს გაძლიერებისათვის“. (Издательство «Спутник», 2021). აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიაც შედარებით ახალია და შეიქმნა 2007 წელს, ის 1500-ზე მეტ ადამიანს აერთიანებს ეკონომიკური განვითარების მიზნით (გამომცემლობა „civil.ge”, 2007). ამ ეტაპზე, მას არ გააჩნია მოკავშირეები და უჭირავს ცენტრისტული პოზიციები.

„ერთიანი აფხაზეთი“ 2014 წლიდან პოზიციონირებს „აფხაზი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების, კორუფციის აღმოფხვრის, სახელმწიფო უწყებების ეფექტურობის გაზრდისა და აფხაზეთის სტრატეგიულ პარტნიორთან, რუსეთთან ურთეირთობების გაუმჯობესების“ მიზნებით. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაერთიანებაა, რომლის შემადგენლობაში 11 ათასზე მეტი ადამიანია (Издательство «ТАСС). კავშირებს ფლობს ისეთ პარტიებთან როგორებიცაა „ამცახარა“; „აიტაირა“; „კომუნისტური პარტია“, რომლებიც ერთიანი აფხაზეთის მსგავსად, სამთავრობო პარტიების რიცხვს მიეკუთვნება (Издательство «Спутник», 2021).

პარტია **„აკზაარა“** (ერთიანობა) 2019 წელს საპრეზიდენტო არჩევნების წინ შექმნა ლეონიდ ძაპშბამ. დღეისათვის მისი საქმიანობის შესახებ ნაკლებად შეიძლება რამე გავიგოთ. პარტიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა „სამართლიანობისა და სტაბილურობის საფუძველზე, ქვეყნის სტაბილური განვითების მიღწევა“. პარტიას არ გააჩნია მოკავშირეები და ცენტრისტული პიზიციები უჭირავს (Издательство «Спутник», 2021).

2015 წელს შეიქმნა პარტია **„აფხაზეთის ეროვნული ფრონტი სამართლიანობისა და განვითარებისთვის“**. პარტია მიმართულია აფხაზეთის ყოველი მოქალაქისთვის კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად. მის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარება და საშუალო კლასის ჩამოყალიბება (Издательство Абхазия-Информ, 2016). კავშირშია „ამცახარა“-თან; „ერთიან აფხაზეთთან”; კომუნისტურ პარტიასთან.

2004 წელს პოლიტიკური კრიზისის დროს, გენადი ალანიამ ჩამოაყალიბა ოპოზიციური **„სოციალ-დემოკრატიული პარტია“.** ის დაარსდა პოლიტიკური კრიზისის დროს, რომელიც მოჰყვა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს (Издательство Кавказский Узел, 2004). შაბმას გარდა, პარტიის დამაარსებელი ასევე იყო ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ არშბა, შტაბის ხელმძღვანელები კი გენადი ალამია და ალბერტ ტოპოლიანი (Издательство Кавказский Узел,

2009). 2004 წლის 15 დეკემბერს, აფხაზეთის დრამატულ თეატრში ჩატარდა პარტიის სადამფუძნებლო ყრილობა, სადაც გენადი ალამია აირჩიეს პირველ თავმჯდომარედ. აქვე ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სოციალ-დემოკრატიული კავშირი, რომელიც პარტიის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდა და მას ხელმძღვანელობდა აფხაზეთის უნივერსიტეტის სტუდენტი, ასტამურ ლოგუა (Издательство Кавказский Узел, 2004). აფხაზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოდიოდა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმების და გადატანის შესახებ, შემდგომ კი საპრეზიდენტო არჩევნების წინააღმდეგ ბოიკოტისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას (Издательство Кавказский Узел, 2009). აფხაზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირი არის ორი, თორმეტი ორგანიზაციიდან. მათ დააარსეს აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი, 2005 წლის 8 თებერვალს. გენადი ალამია გახდა მისი პირველი თავმჯდომარე (Издательство Кавказский Узел, 2004). ახალ არჩევნებში გაიმარჯვა ბაგაფშხაჯიმბას კოალიციამ, ხოლო სერგეი შამბა გახდა საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი. სოციალ-დემოკრატიული პარტია, კვლავ ოპოზიციაში დარჩა.

რუსული თემის, რუსი თანამემამულეების კონგრესი აფხაზეთში (Конгресс русских общин соотечественников России в Абхазии (КРОСРА) წარმოადგენს ერთ-ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებას აფხაზეთში, რომელიც 1994 წლიდან ფუნქციონირებს. ატარებს რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესებს და თავს მოიაზრებს ქსელურ გაერთიანებად, რომელსაც წარმომადგენლობები გააჩნია სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივ თემთან (Издательство Абхазия-Информ, 2010). საინტერესია, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებას გააჩნია თავისი საგამომცემლო ორგანო-გაზეთი „რუსული სიტყვა“. „რუსული თემის რუსი თანამემამულეების კონგრესი აფხაზეთში“ თავმჯდომარე გახლავთ გენადი ნიკიტჩენკო, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით

შევიდა აფხაზეთის ეროვნულ ყრილობაში (პარლამენტში) (Издательство Апсны, 2008).

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის შესაბამისად აფხაზეთში პოლიტიკური პარტიების ძირითად ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს:

- საწევრო გადასახადები, თუ მათი გადახდა გათვალისწინებულია პარტიის წესდებით;
- შემოწირულობები;
- პოლიტიკური პარტიისა და მისი რეგიონალური წარმომადგენლობების მიერ ჩატარებული ღონისძიებების საშუალებით მიღებული შემოსავალი;
- სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმებების შედეგად მიღებული შემოსავალი;
- სხვა ფინანსური შემოსავლები რომლებიც გათვალისწინებულია კანონით.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ დაუშვებლად ითვლება შემოწირულობების მიღება:

- უცხო სახელმწიფოებისა და საგარეო იურიდიული პირების მხრიდან;
- უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მხრიდან;
- აფხაზეთის არასრულწლოვანი მოქალაქეების მხრიდან;
- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობების მხრიდან;
- სახელმწიფო უწყებების მხრიდან;
- საბრძოლო დანაყოფების მხრიდან;
- რელიგიური გაერთიანებებისგან და ფილანტროპული ორგანიზაციებისგან.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ დაფინანსების წყაროები არსებობს სხვა მიმართულებებიდანაც. მაგალითად, არჩევნებში პოლი-

ტიკური პარტიების მიერ მიღებული შედეგების შესაბამისად, რათა მოხდეს „ფინანსური დანახარჯების ანაზღაურება“, ფინანსები გამოიყოფა ე.წ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პოლიტიკურ პარტიას გააჩნია უფლება მიიღოს ფინანსები ბიუჯეტიდან, თუ:

- პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატებიდან, პარლამენტში აირჩიეს არანაკლებ 5 წევრისა;
- თუ კონკრეტული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი არჩვნების შედეგად ხმების არანაკლებ 20%-ს აიღებს (Закон Республики Абхазия, О политических партиях, 2009).

აფხაზეთში პოლიტიკური პარტიების ფინანსური შემოსავლების კონტროლი ხორციელდება. აკვირდებიან იმას, თუ საიდან და როგორ ხდება ფინანსების შემოდინება. მიზანმიმართულად ხორციელდება დაკვირვება, თუ რამდენად დამოუკიდებელია პარტიები. ეს გარკვეულ წნეხში ამყოფებს მათ. თუმცა პარტიების უმრავლესობა მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებს აქტიურ ფუნქციონირებას.

პარტიული სისტემის თავისებურებები

პოლიტოლოგი ნათელა აკაბა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ გამოკვეთილი პროგრამები და სტრატეგიები. „მიკვირს, რომ ჩვენს პარტიებს არ გააჩნიათ რაიმე მკაფიო ხედვა თუ რა სურთ მათ და რისკენ იღწვიან. მრავალი მათგანი იქმნება იმისთვის, რომ უბრალოდ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ანდა დაუჭირონ მხარი ამა თუ იმ პოლიტიკოსს. შესაბამისად ბევრი პარტია ერთმანეთს უბრალოდ იმეორებს. ყოველთვის მიკვირდა, რატომ არ არის აფხაზეთში პოლიტიკური კოალიციები, თუმცა მრავალ განვითარებად ქვეყნაში მხოლოდ ორპარტიული სისტემაც არსებობს. ჩვენთან რეგისტრირებულია 11 პარტია, თუმცა ამ დროს 4-5 წელი ისინი არაფერს არ აკეთებენ, მხოლოდ არჩევნების წინ აქტიურდებიან. ეს მეტყველებს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ ისინი უბრალოდ ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ“ (Издательство «Спутник», 2021).

პოლიტიკური პარტია „აინარა“-ს წარმომადგენელი ადგურ ლაგვილავა კი მიიჩნევს, რომ პარტიებს აფხაზეთში დეკორაციული ხასიათი გააჩნიათ, ვინაიდან კანონმდებლობა მკვეთრად შეზღუდულად მიაჩნია. „ჩვენთან პარტიებს თითქმის არანაირი ფუნქცია არ გააჩნიათ. მათ ძირთადად დეკორაციული ფუნქცია გააჩნიათ. სამწუხაროდ არც ერთი ხელისუფლება არ არის დაინტერესებული იმით, რომ შეიქმნას პარტიული სისტემა, ვინაიდან პარტიული სისტემა ყოველთვის წარმოადგენს იდეების კონკურენციას. ჩვენთან კი სამწუხაროდ, პოლიტიკური ელიტა არ არის დაინტერესებული კონკურენციის იდეით, ის უფრო მეტად დაკავებულია რესურსების დანაწილებით. უმეტესად ჩვენ არჩევანი გვიდგას ადამიანებს შორის და არა მათ იდეებს შორის და ყველას ეს აკმაყოფილებს. აფხაზეთში პარტიები ამ მდგომარეობაში იმყოფებიან იმიტომ, რომ კანონმდებლობა მათ ფაქტობრივად არ აძლევს სხვანაირ შესაძლებლობებს. ბევრი პარტია ფიქტიურია, ბევრი დეკორატიული, თუმცა ეს მაინც საკნანონმდებლო ჩარჩოს ნაკლებობის ბრალია“ (Издательство «Спутник», 2021).

დღეისათვის, აფხაზური კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ უფლება თავისუფლად გაავრცელონ საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საკუთარ შეხედულებებს, იდეებსა და მიზნებს გაუწიოს პროპაგანდა, მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმებსა და არჩევნებში, ჩაატაროს შეხვედრები, მიტინგები, მსვლელობები, პიკეტირებები, თანასწორად გამოიყენოს სახელმწიფო მედია მაუწყებლები, დაარასოს საკუთარი მასმედიის ორგანიზაციები და ა.შ.

ადგურ ლაგვილავას აზრით იმისთვის, რომ პარტიებმა დეკორატიული ფუნქცია დაკარგონ, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა. პარტიას ექნება ბევრად მეტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, თავად სისტემაც უფრო მკაცრი გახდება (Издательство «Спутник», 2021).

ანალოგური აზრისაა პარტია „აიტაირა“-ს ლიდერი ლეონიდ ლაკერბაია, რომელიც დარწმუნებულია, რომ არჩევნების შერეული

სისტემა შესაძლებლობას მისცემს აფხაზეთს, გადაჭრას სადეპუ-ტატო არჩევნებში ეროვნული და გენდერული საკითხები (Издательство «Спутник», 2021).

საპირისპიროდ პოლიტოლოგი ნათელა აკაბა მიიჩნევს, რომ აფხაზეთი არ არის მზად ასეთი ცვლილებებისთვის, რადგანაც ამხელა რიცხვია პოლიტიკური პარტიების და მათ შორის არ არის გაყოფილი არანაირი ფუნქცია (Издательство «Спутник», 2021).

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პოლიტიკური პარტიები აფხა-ზეთში მკვეთრად შეკრულნი არიან. ოპოზიცია კონკრეტული მიზ-ნის მიღწევისათვის ხშირად ძალიან სწრაფად და მიზანმიმართუ-ლად კრავს კოალიციებს და ქმნის გაერთიანებებს, რომელთა საშუ-ალებითაც მკვეთრ წინააღმდეგობას უწევს სამთავრობო ძალებს. ძირითადად მსგავსი ტიპის გაერთიანებები იქმნება საარჩევნო პერიოდში. ესე იყო 2022 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდშიც. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის შეკვრის მიზნით, 2023 წლის დასაწყისშიც მოხდა ოპოზიციური პარტიების ერთად თავმოყრა. პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს ერთიანი სადისკუსიო სივრცე. მასში მონაწილეობას იღებდა პოლიტიკური პარტია „აინარი“, საზოგადოებრივი ორგანი-ზაცია „ერთიანობა“, „აფხაზი ხალხის სამამულო ომის ვეტერანებისა და ახალგაზრდობის კავშირი“, ასევე ექსპერტული ფონდის „აამტა“-ს წარმომადგენლები, პარლამენტის დეპუტატები და საზოგადო მოღვაწეები. თითქმის 4-თვიანი განხილვების შედეგად, საუბარი იყო იმაზე, რომ ოპოზიციური სპექტრი უფრო მეტად წავა საზოგა-დოებაში და გაამყარებს მათთან კომუნიკაციას, დაანახვებს მთავარ სოციო-ეკონომიკურ პრობლემებს. მსგავსი ტიპის გაერთიანებები აფხაზეთში არაერთხელ მომხდარა და ადგილობრივი საზოგადო-ების მეტ დაინტერესებასაც იწვევს აღნიშნული მოვლენები.

ერთმნიშვნელოვნად აღსანიშვნავია ის ფაქტიც, რომ იმ შემ-თხვევში თუ საკითხი დგება „სახელმწიფოებრივობის შენარჩუნე-ბაზე“ პოლიტიკური პარტიები ერთად იკრიბებიან და თანხმდებიან ერთიან საკითხებზე. მსგავსი პროცესი წარიმართა 2023 წლის მა-

ისში, როდესაც ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიციურმა ძალებმა მოაწყეს მიტინგების სერია „აფხაზეთი არ იყიდება“. პრეზიდენტ ზურაბიშვილის ბრიუსელში გამოსვლების შემდგომ (რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციის სურვილს გამოატავდა) მოხდა უშუალოდ შემდეგი ოპოზიციური ძალების გაერთიანება: საზოგადოებრივი ორგანიზაციები „აფხაზეთის სახალხო მოძრაობა“, „არუაა“, „ვეტერანთა და ახალგაზრდობის კავშირი“, „აამტა“, „ერთობა“; ე.წ. პოლიტიკური პარტიები „აფსნი“ და „აფხაზეთის ეროვნული ერთობის ფორუმი" (რადიო თავისუფლება).

დასკვნა:

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში არსებული დე-ფაქტო პოლიტიკური პარტიები საკმაოდ აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა დროით მონაკვეთში, იქნება ეს არჩევნების წინა პერიოდი, თუ საზოგადოებისთვის რაიმე კონკრეტული პრობლემური საკითხი. მათი ფორმირების რამდენიმე ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა. ესენია: კონფლიქტის შემდგომ სამოქალაქო გაერთიანებების გადასვლა პოლიტიკურ ასპარეზზე; ვეტერანთა ინტერესების დაცვა; პირველი დე-ფაქტო პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გზის გაგრძლება; აფხაზეთის ერთიანობის შენარჩუნება და გაძლიერება; ეკონომიკური ტიპის განვითარებისთვის გაერთიანება და ა.შ. არსებული ტენდენციებზე დაკვირვებისას მკაფიოდ ჩანს პოლიტიკური პარტიების დაარსება საარჩევნო პერიოდამდე და შემდგომ, მათი თითქმის ან სრული გაქრობა, რაც მეტყველებს აღნიშნული გაერთიანებების სუსტ პოლიტიკურ ნებასა და კულტურაზე. ამის საპირისპიროდ, შეიძლება ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ აფხაზი ხალხი ისევე, როგორც აფხაზი მეცნიერ-მკვლევარნი და პოლიტიკური მოღვაწეები მკაფიოდ აფიქსირებენ იმ ყველა ნაკლოვანებას, რაც შესაძლოა მათ დღის წესრიგში იყოს და ცდილობენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ გამოსვლას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში არსებული სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ აქტიურია და საკუთარ მოსაზრებებს არ უშინ-

დება, მიუხედავად იმისა, გამოხატავენ პოლიტიკური პარტიები მათ ნება-სურვილს თუ არა.

გამოყენებული წყაროები:

Министерство Иностранных дел Республики Абхазия, 2023, *Государственное устройство,*

წყარო: http://mfaapsny.org/ru/helpful-information/state_system/

Издательство «Спутник», 2022, *ЦИК подвел итоги выборов в Народное Собрание Абхазии,*

წყარო: https://sputnik-abkhazia.ru/20220313/tsik-podvel-predvaritelnye-itogi-vyborov-v-narodnoe-sobranie-abkhazii-1038094778.html

Закон Республики Абхазия, 2009*, О политических партиях*

წყარო: http://www.presidentofabkhazia.org/upload/iblock/bd7/O-politicheskikh-partiyakh.pdf

Издательство «Спутник», 2021, *Политический гид: особенности партийной системы Абхазии*,

წყარო: https://sputnik-abkhazia.ru/20211019/Politicheskiy-gid-osobennosti-partiynoy-sistemy-Abkhazii--1033330264.html

Коммунистическая Энциклопедия, 2020, *Коммунистическая партия Абхазии,*

წყარო:https://kommynist.ru/%D0%9A%D0%BE%D0%BC%D0%BC%D1%83%D0%BD%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BF%D0%B0%D1%80%D1%82%D0%B8%D1%8F_%D0%90%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D0%B8

Народная партия Абхазии, 2022, *О партии и ее истории,*

წყარო: http://www.kiaraz.org/

Партия Амцахара, 2013, *История партии,*

წყარო: http://www.amtsakhara.org/ru/party/history/

Партия Амцахара, 2013, *Региональные отделения*,

წყარო: http://www.amtsakhara.org/ru/party/regional_offices/

Партия Амцахара, 2013, *Программное обращение,*

წყარო: http://www.amtsakhara.org/ru/party/handling/

Издательство Кавказский Узел, 2007, "*В Абхазии создана организация ветеранов грузино-абхазской войны,*

წყარო: https://www.kavkaz-uzel.ru/articles/113971

Издательство Кавказский Узел, 2007, *"Ветераны войны с Грузией требуют судить членов "Комитета спасения Абхазии",*

წყარო: http://www.kavkaz-uzel.ru/articles/120925

Издательство Апспыпресс, 2010, *"Высший совет организации ветеранов отечественной войны народа Абхазии 1992-1993гг"*

წყარო: http://apsnypress.info/news/1220.html

Издательство Кавказский Узел, 2007, *"В Абхазии создана организация ветеранов грузино-абхазской войны,*

წყარო: https://www.kavkaz-uzel.ru/articles/113971

Издательство Кавказский Узел, 2007, *"Ветераны войны с Грузией требуют судить членов "Комитета спасения Абхазии",*

წყარო: http://www.kavkaz-uzel.ru/articles/120925

Издательство Апспыпресс, 2010, *"Высший совет организации ветеранов отечественной войны народа Абхазии 1992-1993гг"*

წყარო: http://apsnypress.info/news/1220.html

Издательство Абхазия-Информ, 2018, *Выступления делегатов съезда республиканской политической партии «форум народного единства абхазии» (сухум, 19 декабря 2018 г.)*

წყარო : http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8221-vystupleniya-delegatov-s-ezda-respublikanskoj-politicheskoj-partii-forum-narodnogo-edinstva-abkhazii-sukhum-19-dekabrya-2018-g

Издательство Апспыпресс, 2015, *В Абхазии создана новая политическая партия «Айнар».*

წყარო: http://www.apsnypress.info/news/v-abkhazii-sozdana-novaya-politicheskaya-partiya-ainar/

Издательство «Эхо Кавказа», 2021, *Абхазские партии «Амцахара» и «Айтайра» решили создать политический союз,*

წყარო: https://www.ekhokavkaza.com/a/31321801.html

გამომცემლობა „civil.ge", 2007, *В Абхазии создана Партия экономического развития,*

წყარო: https://civil.ge/ru/archives/170266

Издательство «ТАСС», 2019, *ЦИК Абхазии зарегистрировал оппозиционную партию "Единая Абхазия"*

წყარო: https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/6616984

Издательство Абхазия-Информ, 2016, *Партия «Народный фронт Абхазии за справедливость и развитие» будет находиться в конструктивной оппозиции к власти*,

http://abkhazinform.com/item/3024-partiya-narodnyj-front-abkhazii-za-spravedlivost-i-razvitie-budet-nakhoditsya-v-konstruktivnoj-oppozitsii-k-vlasti

Издательство Кавказский Узел, 2004, *Социал-демократическая партия Абхазии обратилась к народу, парламенту и президенту республики*

წყარო: https://www.kavkaz-uzel.eu/articles/64393

Издательство Кавказский Узел, 2009, *В Сухуме состоялся учредительный форум социал-демократической партии Абхазии,*

წყარო: http://abkhasia.kavkaz-uzel.ru/articles/62942

Издательство Кавказский Узел, 2009, *В Абхазии начались повторные президентские выборы*

წყარო: http://abkhasia.kavkaz-uzel.ru/articles/68119

Издательство Абхазия-Информ, 2010, *Партии Абхазии*

წყარო: http://abkhaziainfo.ru/partii.html

Издательство Апсны, 2008, *Четыре русские общины Абхазии объединились в ассоциацию*

წყარო:
http://www.apsny.ru/ethnic/ethnic.php?page=content%2Frussian%2Frussian.htm

Nino Bigvava

Political Parties in Occupied Abkhazia

Abstract

After gaining independence quite interesting and at the same time difficult processes developed in Georgia. Among them was the civil war and the conflict on the territory of Abkhazia, as a result of which it is still occupied. Today, life in Abkhazia continues as usual and civil society expresses its positions through political parties as much as it is possible. Based on various available printed sources, this article describes the current political picture in Abkhazia, what kind of political system it is today, how political parties are established, who heads them and what kind of internal or external orientation they have. Seeing the mentioned processes gives us the opportunity to conclude what are the moods of the population and what scientists and researchers think about the given situation.

Key words: *conflict in Abkhazia, Abkhazia, politics, political system, political parties, financing.*